COMMITTEE OF MINISTERS
COMITÉ DES MINISTRES

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

MINISTERS' DEPUTIES
DÉLÉGUÉS DES MINISTRES

Resolutions
Résolutions

CM/Res(2020)2

22/01/2020

Resolution on the Council of Europe youth sector strategy 2030

Unofficial translation into Georgian

Résolution relative à la Stratégie du Conseil de l'Europe pour le secteur jeunesse à l'horizon 2030

Traduction non-officielle en géorgien

რეზოლუცია CM / Res (2020)2 ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის 2030 წლის სტრატეგიის შესახებ

© Council of Europe, original English and French versions

Text originated by, and used with the permission of, the Council of Europe. This unofficial translation is published by arrangement with the Council of Europe, but under the sole responsibility of the translator.

* * * * *

© Conseil de l'Europe, versions originales en anglais et français

Le texte original provient du Conseil de l'Europe et est utilisé avec l'accord de celui-ci. Cette traduction est réalisée avec l'autorisation du Conseil de l'Europe mais sous l'unique responsabilité du traducteur.

COMMITTEE OF MINISTERS
COMITÉ DES MINISTRES
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

მინისტრთა მოადგილეები რეზოლუციები **CM/Res(2020)2** 22 იანვარი 2020

რეზოლუცია CM / Res (2020)2 ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის 2030 წლის სტრატეგიის შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2020 წლის 22 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 1365-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი

ითვალისწინებს 2005 წლის მაისში ვარშავაში ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურთა და მთავრობათა ხელმძღვანელების მესამე სამიტის მიერ მიღებულ დეკლარაციასა და სამოქმედო გეგმას, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ „ევროპის საბჭო მომავალშიც შეინარჩუნებს თავის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ახალგაზრდულ საქმეთა მიმართ“;

ითვალისწინებს ევროპის საბჭოს 70-ე იუბილესთან დაკავშირებით 2019 წლის მაისში ჰელსინკიში გამართულ, 129-ე სესიაზე მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ დეკლარაციას რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ „ევროპული ერთიანობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად, რომლებიც საფრთხეს უქმნის ჩვენს საზოგადოებებს. ორგანიზაციისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წევრ სახელმწიფოებში არსებულ პრობლემებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება. (…) ამ მიზნით ვიღებთ ვალდებულებას, გავაძლიეროთ ევროპის საბჭოს უნიკალური როლი, როგორც პანევროპული თანამშრომლობის ქმედითი ჩარჩო“;

ითვალისწინებს ამავე დეკლარაციის იმ დებულებებს, რომლებშიც ავტორები აღიარებენ „სამოქალაქო საზოგადოების საკვანძო როლს“ და იღებენ ვალდებულებას, წარმართონ „სიღრმისეული და გამჭვირვალე დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასთან ევროსაბჭოს ჩართულობის ყველა დონეზე“;

ხაზს უსვამს ევროპის საბჭოს თანა-მართვის სისტემის მნიშვნელობას ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში, როგორც მონაწილეობითი დემოკრატიის ცოცხალ მაგალითს, რომელიც ევროპაში მცხოვრები ახალგაზრდებისა და ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების ხმებს ახალგაზრდობის საქმეთა ერთობლივ საბჭოში აერთიანებს (CMJ);

ითვალისწინებს ევროპის კულტურულ კონვენციას და ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ;

ითვალისწინებს ევროპის საბჭოს ქვეყნების ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრების მე-8 კონფერენციის დეკლარაციას სახელწოდებით „ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პოლიტიკის მომავალი: დღის წესრიგი 2020“, რომელიც მიღებულია კიევში 2008 წლის ოქტომბერში და ევროპის საბჭოს CM/Res(2008)23 რეზოლუციას ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ, რომელიც მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა 2008 წლის 25 ნოემბერს;

მხედველობაში იღებს 2020 წლის დღის წესრიგის შედეგად მოპოვებულ მიღწევებსა და გამოცდილებას;

ხაზს უსვამს ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში ევროპის საბჭოს ძირითად მონაპოვართა შენარჩუნებისა და გაღრმავების აუცილებლობას, მათ შორის: მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას CM/Rec(2019)4, რომელიც შეახსენებს წევრ სახელმწიფოებს სრულწლოვან ასაკში გარდამავალი ახალგაზრდა ლტოლვილების მხარდაჭერის აუცილებლობას; მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას

CM/Rec(2017)4, რომელიც შეახსენებს წევრ ქვეყნებს ახალგაზრდების შრომითი საქმიანობის მნიშვნელობას; მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას CM/Rec(2016)7 წევრი ქვეყნებისადმი ახალგაზრდებისთვის თავიანთ უფლებებზე წვდომის შესახებ; მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას CM/Rec(2015)3 წევრი ქვეყნებისადმი სოციალურად დაუცველ არეალებში მცხოვრები ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე წვდომის შესახებ; მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას CM/Rec(2010)7 წევრი ქვეყნებისადმი ევროპის საბჭოს ქარტიის შესახებ „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის“ და „განათლებას ადამიანის უფლებების შესახებ“; მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას Rec (2006)14 წევრი ქვეყნებისადმი ახალგაზრდების მოქალაქეობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის შესახებ; მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას Rec(2004)13 წევრი ქვეყნებისადმი ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობის შესახებ; მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას Rec(2003)8 წევრი ქვეყნებისადმი არაფორმალური განათლების / ახალგაზრდების სწავლების პოპულარიზაციისა და აღიარების შესახებ და მინისტრთა კომიტეტის დეკლარაციას (Decl(29/05/2019) კამპანიის - „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ახალგაზრდული მოძრაობა“ - მონაპოვრების შესახებ;

ითვალისწინებს ევროპის საბჭოს ბავშვთა უფლებების სტრატეგიას (2016-2021); ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგიას (2018-2023); ევროპის საბჭოს სტრატეგიას შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ (2017-2023); თემატურ სამოქმედო გეგმას ბოშათა და მოგზაურთა ინკლუზიის შესახებ (2016-2019); ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1805 (2007) რეკომენდაციას რელიგიური უხამსობის, შეურაცხყოფისა და რელიგიურ საფუძველზე სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ და ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებულ სამუშაოს ინტერნეტის მართვისა და ხელოვნური ინტელექტის სფეროში;

ითვალისწინებს რეზოლუციას, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის საბჭოსა და წევრი ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლების შეხვედრაზე „ახალგაზრდულ სფეროში ევროპული თანამშრომლობის ჩარჩოს შესახებ: ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგია 2019-2027“, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ „უნდა განვითარდეს და წახალისდეს ევროსაბჭოს მიერ ამ სფეროში ჩატარებულ სხვადასხვა აქტივობათა სინერგია“;

ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციას A/RES/70/1, რომელიც დაამტკიცა გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს სახელწოდებით: „ჩვენი სამყაროს ტრანსფორმაცია: 2030 დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ და გაეროს ახალგაზრდულ სტრატეგიას „ახალგაზრდობა 2030: ახალგაზრდებთან მუშაობა მათი კეთილდღეობისთვის“;

აღიარებს ახალგაზრდულ საკითხებში ყველა რელევანტური საერთაშორისო დაინტერესებული მხარის საქმიანობასთან შესაბამისობისა და სინერგიის მნიშვნელობას;

ითვალისწინებს, რომ ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების მდგრადობა ემყარება მისი ახალგაზრდების შემოქმედებას, დინამიკას, სოციალურ ვალდებულებებსა და კომპეტენციებს;

ადასტურებს ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორისა და მისი ინსტრუმენტების უნიკალურ გეოგრაფიულ როლსა და მიზნებს, რომლებშიც შედის: თანა-მართვის სისტემა, სტრასბურგისა და ბუდაპეშტის ევროპული ახალგაზრდული ცენტრები, ევროპის ახალგაზრდული ფონდი და ახალგაზრდულ საკითხებზე ევროკავშირთან პარტნიორობა ევროპაში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ფასეულობათა გაზიარების მიზნით;

ითვალისწინებს ევროპის საბჭოს პოზიციას ახალგაზრდებში მიზანმიმართული, თანმიმდევრული, შესაძლებლობებზე ორიენტირებული ინვესტირების შესახებ, რაც მნიშვნელოვანწილად გამოიხატება წევრი სახელმწიფოების დახმარებაში ევროსაბჭოს სტანდარტების შესაბამისი ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში;

ითვალისწინებს მუდმივ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგანან ახალგაზრდები შესაძლებლობათა ნაკლებობისა და მყიფე მდგომარეობაში აღმოჩენის მზარდი საფრთხის თვალსაზრისით, მაგრამ დარწმუნებულია მათ დიდ პოტენციალში და აღიარებს როლს, რომელიც ახალგაზრდებს აქვთ ევროპის საბჭოს ძირითადი ფასეულობების პოპულარიზაციაში;

ხაზს უსვამს განსაკუთრებულ წვლილს, რომელიც ევროპის საბჭოს ახალგაზრდულმა სექტორმა შეიტანა ორგანიზაციის მიზნების განხორციელებაში 1972 წლიდან დღემდე და აღიარებს ახალგაზრდების უნარს,

სათანადოდ უპასუხონ ახალ გარემოებებსა და გამოწვევებს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა, მაგალითად, კლიმატის ცვლილება ან ხელოვნური ინტელექტისა და ინტერნეტის მართვა;

ხაზს უსვამს ამ კონტექსტში 2020-2030 წლების ახალი სტრატეგიული ჩარჩოს შექმნის მნიშვნელობას;

ითვალისწინებს ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის 2030 წლის სტრატეგიის ძირითად დოკუმენტს, რომელიც ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ერთობლივმა საბჭომ მიიღო 2019 წლის ოქტომბერში

და:

1. ადგენს, რომ ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორი მიზნად უნდა ისახავდეს, საშუალება მისცეს ახალგაზრდებს მთელ ევროპაში, აქტიურად დაიცვან და ხელი შეუწყონ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ძირითად ღირებულებებს და გამოიყენონ ისინი, ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებით:

- ახალგაზრდების მხარდაჭერა თავიანთ უფლებებზე ხელმისაწვდომობის განმტკიცებაში, რათა ახალგაზრდა სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერი ფორმა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრულყოფილად განხორციელების ხელშემწყობ გარემოს, მათ შორის კონკრეტულ პოლიტიკას, მექანიზმებსა და რესურსებს;

- ახალგაზრდული ცოდნის გაღრმავება, იმგვარად, რომ ახალგაზრდების დემოკრატიულ ჩართულობას მხარს უჭერდეს საზოგადოებრივი პრაქტიკა, რომელიც ქმნის ცოდნასა და გამოცდილებას;

- ახალგაზრდების ჩართულობის გაფართოება, იმგვარად, რომ ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფართო სოციალური და პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე და მხარი დაუჭირონ ჩართულობას, მონაწილეობით მმართველობასა და ანგარიშვალდებულებას;

2. ადგენს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტები უნდა ჩაითვალოს ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის 2030 წლის სტრატეგიის თემატურ პრიორიტეტებად და მისი მუშაობა 2030 წლამდე უნდა წარიმართოს:

ა) პლურალისტული დემოკრატიის გაცოცხლებით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა:

- ახალგაზრდული სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაზრდას მონაწილეობითი დემოკრატიისა და დემოკრატიული მოქალაქეობის განვითარებისთვის წევრ ქვეყნებში და მათ ფარგლებს გარეთ;

- პოლიტიკისა და მმართველობითი პროცესების გააქტიურებას გააზრებული, მონაწილეობითი გზით, ახალგაზრდების მრავალფეროვანი ჯგუფების და მათი წარმომადგენლების / ორგანიზაციების ჩართულობით;

- ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული მუშაობის გაძლიერებას ახალგაზრდების ჩართულობის დამაბრკოლებელი ბარიერების აღმოსაფხვრელად;

- დემოკრატიულ პროცესებში უახლეს ცვლილებებს და ინსტიტუციური რეაგირების გაუმჯობესებას, როგორიცაა ახალგაზრდული ჩართულობის ახალი ფორმები, დიგიტალიზაცია ან ინტერნეტის მართვა;

ბ) ახალგაზრდების წვდომით საკუთარ უფლებებზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა:

- საკუთარ უფლებებზე ახალგაზრდების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ევროსაბჭოს სტანდარტების განხორციელების პროცესში შემდგომ პროგრესს;

- ახალგაზრდული ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის შესაძლებლობების და რესურსების გაზრდას ადამიანის უფლებების შესახებ განათლების უზრუნველსაყოფად და უფლებებზე წვდომის მხარდასაჭერად;

- ახალგაზრდობის უფლებებთან და ზრდასრულ ასაკში გადასვლასთან დაკავშირებით ინსტიტუციური რეაგირების გაუმჯობესებას, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა, მაგალითად, კლიმატის ცვლილება და გარემოს გაუარესება, ხელოვნური ინტელექტი, ციფრული სივრცე, მობილობის ზრდა და დასაქმების ახალი ფორმები;

გ) მშვიდობიან და ინკლუზიურ საზოგადოებებში თანაცხოვრებით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა:

- დაინტერესებული მხარეების უკეთ აღჭურვას ინკლუზიური საზოგადოებების შექმნის გზაზე არსებული გამოწვევების გადასაჭრელად მიზნობრივი პოლიტიკის, პროგრამებისა და პროექტების საშუალებით, რომლებიც იცავს მრავალფეროვნებას და ეფექტურად აკონტროლებს და ებრძვის დისკრიმინაციას, ძალადობასა და გარიყვას;

- ახალგაზრდების, მათ შორის, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და გარიყვის მსხვერპლი ახალგაზრდებისთვის საშუალების მიცემას, რომ გააღრმაონ დემოკრატიული მოქალაქეობისადმი ერთგულება და თავადვე ისარგებლონ ამ ფასეულობით;

- ისეთი საფუძველმდები ფასეულობების განმტკიცებას, როგორიცაა ევროპული ერთიანობა, გლობალური სოლიდარობა, მშვიდობა, მრავალფეროვნება, კულტურათაშორისი და თაობათაშორისი დიალოგი და გარემოს მდგრადობა; ამ ფასეულობათა განმტკიცებას პოლიტიკაში, პრაქტიკასა და კვლევებში როგორც ახალგაზრდულ სექტორში, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

- ახალგაზრდების შესაძლებლობების, მათი აქტიური და მმართველი როლის გაძლიერებას ძალადობის აღსაკვეთად, კონფლიქტის გარდაქმნისა და მშვიდობის კულტურის საშენებლად ფინანსური მხარდაჭერით, ქსელების შექმნით და ახალგაზრდების სრული მრავალფეროვნებისა და თვითორგანიზების გზების აღიარებით;

დ) ახალგაზრდული მუშაობით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა:

- ახალგაზრდული შრომის პოლიტიკისა და პრაქტიკის განმტკიცებას, აღიარებასა და განვითარებას ახალგაზრდული პოლიტიკის ჩარჩოში, განსაკუთრებით ევროპელი ახალგაზრდების შრომასთან დაკავშირებული დღის წესრიგის განხორციელების გზით, ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობით;

- შრომის ხარისხის გაუმჯობესებას როგორც მოხალისეობრივ, ასევე ანაზღაურებულ სამუშაოზე დასაქმებული ახალგაზრდებისთვის;

- შრომით საქმიანობასა და არაფორმალური განათლებაზე / ტრენინგებზე ხელმისაწვდომობის მხარდაჭერას და მათი მიმზიდველობის ზრდას ახალგაზრდების სულ უფრო ფართო ჯგუფების სასარგებლოდ;

3. ადგენს, რომ ზემოხსენებულ პრიორიტეტებს უნდა ემყარებოდეს პრინციპები, რომელთა საშუალებითაც ევროპის საბჭო თანამშრომლობს ახალგაზრდებთან: ურთიერთპატივისცემა, ნდობა, ინკლუზიურობა, მდგრადი ვალდებულება, ჩართულობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა და თანამშრომლობა;

4. ადგენს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრიორიტეტები უნდა განხორციელდეს შემდეგი გზებით:

- მთავრობათაშორისი თანამშრომლობა პანევროპულ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის მომზადებისა და განხორციელების საკითხში, ევროპის საბჭოს სტანდარტებზე დაფუძნებით;

- წევრ სახელმწიფოებში ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა ორმხრივი და მრავალმხრივი დახმარების ღონისძიებებით;

- ახალგაზრდა ლიდერებისა და მუშაკების შესაძლებლობების განვითარება, განსაკუთრებით ევროპის ახალგაზრდული ცენტრებისა და მათი საგანმანათლებლო და ტრენინგ-პროგრამების მეშვეობით;

- კარგი მმართველობა და ახალგაზრდების ჩართულობა, განსაკუთრებით თანა-მართვის სისტემის მეშვეობით, რომელიც ითვალისწინებს, რომ ახალგაზრდები და მთავრობის წარმომადგენლები ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს. ეს უნდა გახდეს ევროპის მასშტაბით კონსენსუსის, ლეგიტიმურობისა და მრავალმხრივი ჩართულობის ხელშეწყობის ძირითადი პლატფორმა და პოლიტიკური და ინსტიტუციური თანამშრომლობის სივრცე;

- ახალგაზრდა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ფინანსური დახმარება, განსაკუთრებით ევროპის ახალგაზრდული ფონდის მეშვეობით;

- ინოვაციები ახალგაზრდულ მუშაობაში, ახალგაზრდულ პოლიტიკასა და ახალგაზრდულ კვლევაში;

- ურთიერთთანამშრომლობა პოლიტიკის შემქმნელებს, პრაქტიკოსებსა და მკვლევრებს შორის ახალგაზრდობის სფეროში;

- ხარისხის განვითარება და სტანდარტების შემუშავება ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში;

- თანამშრომლობა ევროკავშირთან და პარტნიორობა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან და პროვაიდერებთან, რომლებიც მუშაობენ ევროსაბჭოს ახალგაზრდულ სექტორთან დაკავშირებულ სფეროებში;

- ახალგაზრდული საკითხების წარმოჩენა და უწყებათაშორისი თანამშრომლობა ევროსაბჭოს ფარგლებში;

- არახელსაყრელ პირობებში მყოფი ახალგაზრდების აქტიური მოძიება და მათი ჩართულობის ხელშეწყობა;

- სამომავლო ტენდენციების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინასწარ განსაზღვრა;

5. ადგენს, რომ წინამდებარე სტრატეგია გამოყენებული უნდა იქნას ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტებით, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია:

- ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის რელევანტური თანა-მართული ორგანოები, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ საქმიანობათა პროგრამები წინამდებარე რეზოლუციის საფუძველზე და, საჭიროების შემთხვევაში, მინისტრთა კომიტეტს წარუდგინონ სტანდარტებთან დაკავშირებული წინადადებები;

- ევროპის ახალგაზრდული ცენტრები და ევროპის ახალგაზრდული ფონდი, რომელთა მხარდაჭერაც უნდა გაგრძელდეს ევროპის საბჭოს ძირითადი ღირებულებების საფუძველზე ევროპული ახალგაზრდული თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების ჭრილში;

- ევროკავშირთან პარტნიორობა ახალგაზრდულ სფეროში, რომლის, როგორც ორ პარტნიორს შორის კარგი თანამშრომლობის მაგალითის, მხარდაჭერა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს;

6. ადგენს, რომ წინამდებარე სტრატეგია უნდა ამოქმედდეს და პერიოდულად შეფასდეს 2030 წლამდე ევროპის საბჭოს პროგრამებისა და ბიუჯეტების საშუალებით, ხოლო ახალგაზრდობის ერთობლივმა საბჭომ (CMJ) დადგენილი მოთხოვნების მიხედვით უნდა შეაფასოს მისი შესრულების მიმდინარეობა.